6736/3-120/21 2 02072021

6736/3-120/21
02-07-2021

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ კითხვით:

1. 2018 წლის 13 აგვისტოდან 2021 წლის პირველ იანვრამდე, საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 130-ე მუხლით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევის საფუძველზე, კერძოდ უნებართვო მშენებლობისთვის და ამავე კოდექსის 132-ე მუხლით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევის საფუძველზე, კერძოდ სამშენებლო/სანებართვო პირობების დარღვევისთვის, რომელი ამხანაგობები და ფიზიკური და იურიდიული პირები არიან დაჯარიმებული? (გთხოვთ ინფორმაცია მომაწოდოთ საიდენტიფიკაციო მონაცემების მითითებით, ინფორმაცია გაყოთ ორ ნაწილად, ის პირები, რომელთაც გადახდილი აქვთ აღნიშნული ჯარიმები და ასევე ის პირები, რომელთაც არ აქვთ ის გადახდილი; ამასთან, გთხოვთ მომაწოდოთ მხოლოდ იმ პირთა შესახებ ინფორმაცია, რომლებიც დაჯარიმდნენ აღნიშნული საფუძვლებით და რომელთა მშენებლობები დღეის მდგომარეობით არ არის ექსპლუატაციაში მიღებული)
2. 2018 წლის 13 აგვისტოდან 2021 წლის პირველ იანვრამდე, საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 130-ე მუხლით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევის საფუძველზე, კერძოდ უნებართვო მშენებლობისთვის და ამავე კოდექსის 132-ე მუხლით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევის საფუძველზე, კონკრეტულად რა სამშენებლო/სანებართვო პირობების დარღვევისთვის დაჯარიმდნენ აღნიშნული პირები? (გთხოვთ მომაწოდოთ ყველა სახის დოკუმენტაცია, რაც საფუძვლად უდევს ამ პირების დაჯარიმებას, აქტები, ოქმები, ფოტოსურათები (არსებობის შემთხვევაში) და ა.შ. ამასთან, გთხოვთ მომაწოდოთ მხოლოდ იმ პირთა შესახებ ინფორმაცია, რომლებიც დაჯარიმდნენ აღნიშნული საფუძვლებით და რომელთა მშენებლობები დღეის მდგომარეობით არ არის ექსპლუატაციაში მიღებული)

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მამუკა ხაზარაძე

წერილის ნომერი: **17-012119866**
თარიღი: **17/07/2021**
პინი: **2940**

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

საქართველოს პარლამენტის წევრს

ბატონ მამუკა ხაზარაძეს

ბატონო მამუკა,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში 2021 წლის 9 ივლისს შემოსული №6736/3-120/21 (შიდა რეგისტრაციის ნომერი: 02-01211831626-01) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ობიექტების ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებული საქმისწარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე, მუნიციპალურ ინსპექციაში მონაცემები მუშავდება შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების მოთხოვნის განცხადებებისა და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამის საინფორმაციო ბაზაში ასახვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, გეგზავნებათ იმ ობიექტთა ჩამონათვალი, რომლებსაც მუნიციპალური ინსპექციის მიერ 2018-2021 წლებში უარი ეთქვათ ექსპლუატაციაში მიღებაზე, ხოლო დაჯარიმებული პირებისა და მათ მიერ გადაუხდელი ჯარიმების თაობაზე გეცნობათ სამსახურის 2021 წლის 17 ივნისის №17-0121168475 წერილით.

ამასთან, ვინაიდან, თქვენ მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია შეიცავს „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას, ხოლო თქვენ მიერ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი დასაბუთება პერსონალური მონაცემების დამუშავების აუცილებლობასთან დაკავშირებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს მოთხოვნილი დოკუმენტაციის ასლები.

დანართი: ერთი ფაილი

პატივისცემით,

კახაბერ გულედანი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი